

Image not found or type unknown

## თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC)

2006 წლის თებერვალში საია-მ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ ცნობილ არასამთავრობო ორგანიზაცია - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC).

თანამშრომლობის პრაქტიკული დეტალების განხილვის მიზნით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრსა და საია-ს შორის შეხვედრა თებერვალში ამ ორგანიზაციის ლონდონის ოფისში შედგა. გადაწყდა, რომ ერთობლოვი პროექტი თავიდან სამ ძირითად საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას:

სამარალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში. ექსპერტის დახმარებით და სახელმძღვანელო პრონციპების მიწოდებით EHRAC დაეხმარება საია-ს

- სტრასბურგში განაცხადთა წარგზავნაში;  
ტრენინგის ჩატარება თბილისში. ტრენინგი, სავარაუდოდ, 2006 წლის აპრილში ჩატარდება;
- საია-ს წარმომადგენლის მონაწილეობა ლონდონსა და სტრასბურგში EHRAC -ის სამართლებრივი უნარჩვევების განვითარების პროგრამაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორი ბილ ბოურინგი, თინა დევადასანი, ფილლიპ ლიჩი (EHRAC) და ანა დოლიძე, სოფო ჯაფარიძე და ბურაბ ბურდული (საია).

EHRAC-ი ლონდონის მეტროპოლის უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდა რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაცია –“მემორიალ“-ის თხოვნით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის ძირითადი მიზანია რუსეთსა და საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციათა, კერძო პირთა და იურისტთა დახმარება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში განაცხადთა წარგზავნაში.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



EHRAC 2003 წლიდან თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრ მემორიალთან (MHRC). ერთობლივი პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. პროექტის ფარგლებში სტრასბურგში გაგზავნილი განაცხადებიდან თერთმეტივე საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. ამ საქმეთაგან ექვსი მათგანი ჩეჩნეთის კონფლიქტს შეეხებოდა.

გარდა ევროპულ სასამართლოში სასამართალწარმოებისა, EHRAC-ი მემორიალთან ერთად რუსეთში ატარებს ტრენინგს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და ახორციელებს ყოველწლიურ იურიდიულ უნარჩვევათა განვითარების პროგრამას ლონდონსა და სტრასბურგში.

ორ წელიწადში ერთხელ EHRAC აქვეყნებს საქმეთა ბიულეტენს, და ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციის მიზნით ინგლისურ და რუსულ ენაზე აქვს პროექტის ვებ-გვერდი ([www.londonmet.ac.uk/ehrac](http://www.londonmet.ac.uk/ehrac); <http://ehracrom.memo.ru>). ეს ვებ-გვერდი პროექტის პროგრესისა და საქმეების გარდა წარმოადგენს ტრენინგის ერთგვარ წყაროს, რომელიც მოიცავს სტატიებს ევროპული სასამართლოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა საკითხებზე.

გარდა ამისა, EHRAC  ახლახანს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადთა წარგზავნის თაობაზე. რუსეთში ეს გამოცემა უკვე გავრცელდა არასამთავრობო ორგანიზაციათა, ადამიანის უფლებათა დამცველთა, უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებს შორის. EHRAC-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტით [www.londonmet.ac.uk/ehrac](http://www.londonmet.ac.uk/ehrac)